გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელება საქართველოში

„საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის

განხორციელების ღონისძიებათა 2014–2016 წლების

სამოქმედო გეგმის”

შესრულების 2015 წლის ანგარიში

სარჩევი

I. შესავალი 3

II. კვლევის მიზანი და მეთოდები 6

III. შედეგები: განხორციელებული აქტივობები 7

1. საკანონმდებლო ინიციატივები, ცვლილებები და მნიშვნელოვანი დოკუმენტები 7

2. ეროვნული მექანიზმები 14

3. ქალთა მხადამჭერი პროგრამები 15

4. საგანმანათლებლო ინიციატივები 21

5. ჩატარებული კვლევები 26

6. ცნობიერების ამაღლება 28

7. გენდერული სტატისტიკა 29

IV. იდენტიფიცირებული პრობლემები და ზოგადი რეკომენდაციები 30

I. შესავალი

2015 წლის მარტში საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოსა და გენდერული თანასწორობის გაეროს ერთობლივი პროგრამის მხადაჭერით მომზადდა „საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2014–2016 წლების სამოქმედო გეგმის“[1] ერთწლიანი ანგარიში.

ცივილიზებულ და დემოკრატიულ სამყაროში ადამიანმა თავი დაცულად უნდა იგრძნოს, საკუთარ თავს სხვის თანასწორად უნდა აღიქვამდეს, უნდა სარგებლობდეს თანაბარი უფლებებით და მათი რეალიზების თანაბარი შესაძლებლობებით. მსოფლიოს ქვეყნები, რომლებიც დემოკრატიის განვითარების გზას ადგანან განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ თანასწორობის პრინციპებს.

დემოკრატიულ პრინციპებს შორის გენდერული თანასწორობა ერთ-ერთი პრირიტეტულია. ქვეყნისა და საზოგადოების განვითარება გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფას გულისხმობს, რაც ხელს უწყობს ადამიანთა უფლებების ეფექტურ დაცვას, ქმნის გონივრულად დაგეგმილი ეკონომიკის საფუძველს, ზრდის პროდუქტულობას, ხელს უწყობს მომავალი თაობის განვითრებას და უზრუნველყოფს გენდერულ ბალანსს ინსტიტუციებში.

გენდერული თანასწორობის ისტორია არის ქალსა და მამაკაცს შორის ინტელექტუალურ, პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ სფეროებში ცვალებადი ურთიერთობების ისტორია. მსოფლიო საზოგადოებრიობის წინაშე უკვე დიდი ხანია დგას გენდერული უთანასწორობის პრობლემა, რაც ძირითადად ქალების მდგომარეობასა და სტატუსზე აისახება. სამწუხაროდ, ქალთა უფლებები ბევრ ქვეყანაში დღესაც ირღვევა, მწვავედ დგას გადაწყვეტილების მიღების დონეზე ქალთა

[1] www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/27264

მონაწილეობის საკითხი, უაღრესად მტკივნეულია ქალთა მიმართ ძალადობის პრობლემა და ა.შ.

გენდერული უთანასწორობის პრობლემა საქართველოშიც ძალიან აქტუალურია. ქვეყანაში არსებული ტრადიციები, ქალისა და მამაკაცის როლისადმი გავრცელებული დამოკიდებულებები და შეხედულებები უარყოფითად აისახება ქალის მდგომარეობასა თუ სტატუსზე. ისინი ნაკლებად არიან წარმოდგენილნი ქვეყნის საზოგადოებრივ, განსაკუთრებით, პოლიტიკურ ცხოვრებაში, ხშირია ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტები; და საერთოდ, როგორც ირკვევა, მათ შესაძლებლობებსა და პოტენციალს საზოგადოება არასწორად აფასებს და სათანადოდ ვერ იყენებს.

საქართველოში უკვე 20 წელია, რაც ქვეყნის მთავრობა გენდერული თანასწორობის სახელმწიფო პოლიტიკის შექმნასა და სრულყოფაზე ზრუნავს. ხაზი უნდა გავუსვათ იმას, რომ გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის სფეროში ქვეყნის კანონმდებლობისა და მოქმედი მექანიზმების შემუშავებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საერთაშორისო კონვენციებმა და რეზოლუციებმა.

1998 წელს პრეზიდენტის ბრძანებულებით დამტკიცდა პირველი დოკუმენტი - „ეროვნული სამოქმედო გეგმა ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ 1998-2000 წ.წ.“, რომელიც პეკინის სამოქმედო გეგმაში გაწერილი 12 პრიორიტეტიდან 7-ს მოიცავდა. ეს იყო საკითხები, რომელიც იმ დროს აქტუალურად მიიჩნიეს საქართველოში ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. მას შემდეგ გარკვეული პერიოდულობით იქმნება და მტკიცდება სამოქმედო გეგმები: 1998-2000 წ.წ., 2001-2004 წ.წ., 2007-2009 წ.წ., 2010-2013 წ.წ., 2014-2016 წ.წ..

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია „საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2014–2016 წლების სამოქმედო გეგმის“ ანგარიში, 2015 წლის შედეგების შეფასება.

საქართველოს პარლამენტთან არსებული გენდერული თანასწორობის საბჭომ[2], აღმასრულებელი ხელისუფლებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად შეიმუშავა სამოქმედო გეგმა, რომლიც 2014 წლის 24 იანვარს დამტკიცებულ იქნა საქართველოს პარლამენტის მიერ. აღნიშნული სამოქმედო გეგმა 8 პრიორიტეს მოიცავს. ესენია:

1. გენდერული თანასწორობის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მისი განხორციელების ხელშეწყობა;
2. განათლება და ცნობიერების დონის ამაღლება;
3. გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა ეკონომიკის სფეროში;
4. გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში;
5. გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე;
6. ქალი და პოლიტიკა;
7. გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა გარემოს დაცვის სფეროში;
8. გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა სამართალდაცვისა და სასჯელაღსრულების სფეროში.

[2] პარლამენტში არსებული „გენდერული თანასწორობის საბჭო“

II. კვლევის მიზანი და მეთოდები

კვლევის მიზანი

2016 წლის მარტსა და აპრილში ჩატარდა „საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2014–2016 წლების სამოქმედო გეგმის“ შესრულების შეფასება. კვლევის მიზანი იყო 2015 წლისათვის დაგეგმილი ღონისძიებების (1) შესრულების შეფასება - განხორცილებული და მიმდინარე ღონისძიებების ანალიზი; და (2) გეგმის შესრულებასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირება.

კვლევის მეთოდები

კვლევაში გამოყენებული იყო:

- სამაგიდე კვლევა - გეგმის განხორციელების პროცესში ჩართული სხვადასხვა უწყების მიერ გენდერული თანასწორობის პოლიტიკასთან დაკავშირებით მომზადებული ანგარიშების შესწავლა/ანალიზი.
- თვისებრივი მეთოდი - სიღრმისეული ინტერვიუ სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში ჩართული სხვადასხვა უწყების წარმომადგენელთან. (ინტერვიუსათვის შემუშავდა გზამკვლევი-კითხვარი).

III. შედეგები: განხორციელებული აქტივობები

1. საკანონმდებლო ინიციატივები, ცვლილებები და მნიშვნელოვანი დოკუმენტები

„საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2014–2016 წლების სამოქმედო გეგმაში“ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საკანონმდებლო აქტივობებს. გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისათვის გეგმაში გათვალისწინებულია კანონმდებლობის გენდერული ანალიზის ჩატარება, მის საფუძველზე გარკვეული საკანონმდებლო ცვლილებების მომზადება და გათვალისწინება საკანონმდებლო ბაზაში. გასული, 2015 წლის განმავლობაში სხვადასხვა სახელმწიფო უწყების მიერ არაერთი საკანონმდებლო ინიციატივა მომზადდა.

გენდერული თანასწორობის პოლიტიკის ეფექტიანი განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია, რომ მმართველობის სხვადასხვა დონეზე შეიქმნას ინსტიტუციური მექანიზმები. 2013 წელს არასამთავრობო ორგანიზაციის „ქალთა საინფორმაციო ცენტრის“ ინიციატივითა და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მხარდაჭერით 49 მუნიციპალიტეტში დაინიშნენ გენდრულ საკითხთა მრჩევლები. აღნიშნული თანამდებობისთვის სამინისტროსა და „ქალთა საინფრომაცისო ცენტრის“ მიერ ერთობლივად შემუშავდა თანამდებობრივი ინსტრუქცია. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს პოზიცია არ არის კანონით დარეგულირებული და, ჯერჯერობით, მხოლოდ რეკომენდაცია უდევს საფუძვლად. 2015 წელს მუნიციპალიტეტებში გენდერულ საკითხთა მრჩევლის პოზიციის, როგორც მუდმივმოქმედი და სავალდებულო ინსტიტუციური მექანიზმის დანერგვისა და ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის მომზადდა საკანონმდებლო

ინიციატივა. აღნიშნული ინიციატივა საქართველოს პარლამენტმა 2016 წლის 2 მარტს პლენარულ სხდომაზე პირველი მოსმენით მიიღო *(ინიციატორი – პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე მანანა კობახიძე)*; შემუშავდა საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, რომლის მიხედვითაც ცვლილებები უახლოეს მომავალში აისახება „საქართველოს კანონში გენდერული თანასწორობის შესახებ“ და საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში“. საკანონმდებლო ინიციატივა გულისხმობს საკრებულოებში გენდერული თანასწორობის საბჭოების ფორმირებას, ხოლო გამგეობებში/მერიებში ერთ-ერთი საჯარო მოსამსახურისათვის გამგებლის/მერის მიერ ადგილობრივ დონეზე გენდერული თანასწორობის დაცვასთან დაკავშირებით შესაბამისი ფუნქციების განსაზღვრას.

საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტის მიხედვით „საქართველოს გენდერული თანასწორობის კანონში“ მე–13 მუხლი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით და დაემატა 2 მნიშვნელოვანი ქვეპუნქტი :

- „მუნიციპალიტეტის საკრებულო მუნიციპალიტეტში გენდერულ საკითხებზე სისტემური და საქართველოს პარლამენტის მიერ შექმნილ გენდერული თანასწორობის საბჭოსთან კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად ქმნის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს, რომლის შემადგენლობა, სტატუსი, ფუნქციები და უფლებამოსილება განისაზღვრება საკრებულოს რეგლამენტით და მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულებით, რომელსაც ამტკიცებს შესაბამისი საკრებულო“;

- „მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დისკრიმინაციის გამოვლენისა და აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად საჭირო რეკომენდაციებს ამზადებს გამგეობის/მერიის მოსამსახურე-მრჩეველი გენდერული თანასწორობის

საკითხებში, რომელსაც „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგებელი/მერი“.

აღნიშნული ცვლილებები ხელს შეუწყობს გენდერულ საკითხებზე ყურადღების გამახვილებას, გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფასა და ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ქალთა მონაწილეობის გაზრდა გადაწყვეტილების მიღების დონეზე გენდერული თანასწორობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია. სხვადასხვა ქვეყნისა და მათ შორის საქართველოს გამოცდილება აჩვენებს, რომ ქალებს უჭირთ გადაწყვეტილების დონეზე მოსვლა და რომ მათ ამისათვის დამხმარე მექანიზმები ესაჭიროებათ, როგორიც არის, მაგალითად, კვოტირება.

2015 წელს შემუშავდა და პარალამენტს წარედგინა საკანონმდებლო ინიციატივა *(ინიციატორი – პარლამენტის წევრი ნანა ყეინიშვილი)*, რომელიც გულისხმობს ცვლილების შეტანას საქართველოს „საარჩევნო კოდექსში“ და საქართველოს ორგანულ კანონში „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“[3]:

- „პარტია, რომელიც იღებს დაფინანსებას ამ მუხლით დადგენილი წესით, მიიღებს საბაზო დაფინანსებაზე დანამატს საბაზო დაფინანსების 30%-ის ოდენობით, თუ ამ პარტიის ან შესაბამისი საარჩევნო ბლოკის მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნებზე – ყველა პარტიულ სიაში, რომლის შედეგების საფუძველზედაც მიიღო დაფინანსება, კანდიდატთა პირველ, მეორე და ყოველ მომდევნო ათეულში ერთიმეორისაგან განსხვავებული სქესი წარმოდგენილია სულ მცირე 30%-ით“ *(ორგნული კანონი მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ, მუხლი 30)*.

[3] http://info.parliament.ge/#law-drafting/10933

- წარდგენილ სიაში საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატთა რაოდენობა არ უნდა იყოს 100-ზე ნაკლები და 200-ზე მეტი. ამასთან, წარდგენილ სიაში, სქესთა შორის ბალანსის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, ყოველ მომდევნო სამ კანდიდატს შორის ერთი მაინც, წარმოდგენილი უნდა იყოს განსხვავებული სქესის“ *(საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 115).*

ქალთა მიმართ ძალადობა ერთ-ერთი მტკივნეული საკითხია საქართველოში. ქალები ხშირად სხვადასხვა სოციალური, ეკონომიკური თუ ფსიქოლოგიური ფაქტორების გამო ძალადობის მსხვერპლნი არიან. ქვეყანაში, სადაც დემოკრატიული პროცესები მიმდინარეობს, უნდა არსებობდეს ძალადობისაგან ძლიერი დამცავი მექანიზმები. პირველ რიგში, ერთ-ერთი ასეთი მექანიზმია ეფექტური საკანონმდებლო ბაზა.

2014 წელს საქართველოში დაიწყო „ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“[4] ევროსაბჭოს კონვენციის (სტამბოლის კონვენცია) ჰარმონიზაციის პროცესი. კონვენციის ძირითადი მიზანია ადამიანის უფლებების დარღვევასთან ბრძოლა - ძალადობის პრევენცია, მსხვერპლთა დაცვა და მოძალადეებზე სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება. კონვენციის ჰარმონიზაციის ფარგლებში ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში შემუშავდა მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები.

2015 წელს საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ „ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და პრევენციის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციასთან (შემდგომში - „სტამბოლის კონვენცია“) ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით შეიმუშავა შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი,

[4] http://www.conventions.coe.int/Treaty/EN/Treaties/Html/210.htm

რომლის მიხედვით მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებებია გათვალისწინებული 17 საკანონმდებლო აქტში. ეს საკანონმდებლო აქტებია: 1. სისხლის სამართლის კოდექსი, 2. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 3. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, 4. საქართველოს კანონი ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ, 5. შრომის კოდექსი, 6. საქართველოს კანონი იურიდიული დახმარების შესახებ, 7. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, 8. პაციენტის უფლებების შესახებ კანონი, 9. პატიმრობის კოდექსი, 10. საქართველოს კანონი საექიმო საქმიანობის შესახებ, 11. საქართველოს კანონი საჯარო სამსახურის შესახებ, 12. საქართველოს კანონი უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ, 13. საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, 14. საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, 15. ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, 16. პოლიციის შესახებ საქართველო კანონი და 17. იარაღის შესახებ საქართველოს კანონი. *(გეგმა:1.3.5; 1.4.1).*

უნდა აღინიშნოს, რომ საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტის მომზადების პროცესში საქართველოს იუსტიციის სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობდა სხვა უწყებებთან და ქალთა მიმართ ძალადობის თემაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივითა და გაეროს ბავშვთა ფონდის ფინანსური მხადაჭერით მიმდინარეობს მუშაობა სკოლისათვის მზაობის პროგრამაზე, რომელიც 5-6 წლის ასაკის ბავშვებისათვისაა გათვალისწინებული. აღნიშნული პროგრამის დასრულება დაგეგმილია 2016 წლის გაზაფხულისათვის, მისი დანერგვა საბავშვო ბაღებში 2015 წლის სექტემბრიდან დაიწყო. აღნიშნულ პროგრამაში გათვალისწინებულია გენდერული თანასწორობის

საკითხები. აღზრდის მეთოდები და მიდგომები მოიაზრებს გენდერული თანასწორობის ასპექტებს.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების მიზნით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა, რაც გენდერული ბიუჯეტირების პრაქტიკის დანერგვას შეუწყობს ხელს. ფინანსთა სამინისტრომ განახორციელა ცვლილება პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიაში – პროგრამული ბიუჯეტის შედგენისას მხარჯავმა დაწესებულებებმა უნდა გაითვალისწინონ გენდერული ასპექტები; დაემატა შედეგების შესრულების შეფასების იმ ინდიკატორებისათვის ველი, რომლებიც ასახავენ გენდერულად მგრძნობიარე მაჩვენებლებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისათვის აუცილებელია გენდერული ბიუჯეტის არსებობა, რაც გულისხმობს გენდერული ასპექტების გათვალისწინებას საბიუჯეტო პროცესში და საბიუჯეტო რესურსების სამართლიან განაწილებას. საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ინიციატივით უკვე მეორედ განხორციელდა სახელმწიფო ბიუჯეტის გენდერული ანალიზი. 2015 წელს გენდერული თვალსაზრისით გაანალიზდა 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, რომელიც პარლამენტის საბიუჯეტო ოფისმა მოამზადა. აღნიშნული დოკუმეტის საფუძველზე საბჭოს წევრებმა, პარლამენტში ბიუჯეტის განხილვისას, დააყენეს გენდერული ბიუჯეტის საკითხი, რითიც კიდევ ერთხელ ხაზი გაესვა ქვეყანაში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისათვის გენდერული ბიუჯეტირების საკითხის მნიშვნელობას – „2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის ანალიზის საფუძველზე ვლინდება, რომ მიზანშეწონილია, სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამული დაგეგმვის ეტაპზე ყურადღება გამახვილდეს გენდერულად სენსიტიური პროგრამების იდენტიფიცირებასა და აღნიშნული პროგრამების შეფასების ინდიკატორების ფორმირების პროცესში გენდერული ასპექტების გათვალისწინებაზე, რაც, თავის მხრივ, წარმოადგენს წინაპირობას იმისა, რომ

სახელმწიფო ბიუჯეტი შესაბამისობაში იქნება გენდერული თანასწორობის პოლიტიკასთან და შესაბამისი პროგრამების ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები უზრუნველყოფს გენდერულ ასპექტში სახელმწიფო რესურსების სწორად განაწილებას და ამ მიმართულებით ანგარიშვალდებულების ზრდას“[5].

გენდერული საკითხები ასახულია სხავადასვა პოლიტიკის დოკუმენტებში. საქართველოს მთავრობამ 2014 წელს დაამტკიცა საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი[6], რომელიც საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ შეიმუშავა გაეროს მოსახლეობის ფონდისა (UNFPA) და გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მხადაჭერით. ახალგაზრდული პოლიტიკის მიზანია, ხელი შეუწყოს ახალგაზრდების სრულფასოვან განვითარებას, რისთვისაც შესაბამისი პირობები უნდა შექმნას. დოკუმენტი ეფუძნება გარკვეულ პრინციპებს; ერთ-ერთ პრინციპს სწორედ გენდრული თანასწორობა წარმოადგენს. 2015 წელს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელების მიზნით შეიმუშავა სამოქმედო გეგმა, რომელიც 5 მიმართულებისაგან შედგება. გეგმის ბოლო (მე-5) ნაწილი ეხება მის განხორციელებასა და მონიტორინგის. გეგმის ამ ნაწილშია ასახული გენდერული თანასწორობის საკითხები: ***5. სამოქმედო გეგმის განხორციელება და მონიტორინგი*** - **მიზანი** *5.3. – გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა ახალგაზრდულ პოლიტიკაში;* **ამოცანა** *5.3.1–ახალგაზრდა ქალებისა და მამაკაცების თანაბარი მონაწილეობა პროგრამებში/პროექტებში/ღონისძიებებში;* **საქმიანობა** *5.3.1.2 – გენდერული აუდიტის ჩატარება.*

საქართველოს მთავრობამ 2013 წელს დაამტკიცა სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტი 2014-2020 წ.წ.. 2015 წელს საქართველოს სპორტისა და

[5] „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტის გენდერული ანალიზი, http://parliament.ge/ge/saparlamento-saqmianoba/komisiebi-da-sabchoebi-8/genderuli-tanasworobis-sabcho/sabchos-shesaxeb-2044/sabchos-angarishebi

[6] http://msy.gov.ge/files/veko/2014%20weli/marti/_სახელმწიფო_ახალგაზრდული_პოლიტიკა.pdf

ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტმა სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების მიზნით შეიმუშავა „კრიტერიუმებისა და სტანდარტების განმარტება“. აღნიშნულ დოკუმენტში, იმ ნაწილში, სადაც განხილულია სპორტული ორგანიზაციების საკითხი, ხაზგასმულია, რომ სპორტული ორგანიზაციების კარგი მმართველობა დამოკიდებულია შიდა მენეჯმენტზე, რომლის მუშაობაც რამდენიმე პრინციპს უნდა ითვალისწინებდეს, მათ შორის გენდერულ თანასწორობას.

2. ეროვნული მექანიზმები

გენდერული თანასწორობის დამყარება სხვადასხვა მნიშვნელოვანი ღონისძიების გატარებას გულისხმობს. საქართველოს მთავრობა, რომელიც იზიარებს თანასწორობის პრინციპებსა და ამასთან, იღებს საერთაშორისო ვალდებულებებს, რომ ხელს შეუწყობს ქვეყანაში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფას, სხვადასხვა დროს ქმნის სხვადასხვა ინსტიტუციურ მექანიზმს. 1999 წლიდან პეკინის დეკლარაციის საპასუხოდ საქართველოში იქმნება გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმები. 2015 წელს ამ მიმართულებით განხორციელებულ ცვლილებებთან დაკავშირებით აღსანიშნავია ორი მნიშვნელოვანი ინიციატივა.

2015 წელს საქართველოს მუნიციპალიტეტებში პარლამენტის მიერ შემუშავებული საკანონმდებლო ინიციატივების საფუძველზე საქართველოს მთავრობის დადგენილებით შეიქმნება გენდერული თანასწორობის ორი მექანიზმი: (1) გენდერული თანასწორობის მუნიციპალური საბჭო, რომელიც აქტიურად ითანამშრომლებს საქართველოს პარლამენტის მიერ შექმნილ გენდერული თანასწორობის საბჭოსთან; (2) მრჩეველი გენდერული თანასწორობის საკითხებში მუნიციპალიტეტებში *(გეგმა: 5.1.3)*.

2015 წელს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში დაინიშნა მინისტრის მრჩეველი გენდერულ საკითხებში და შეიქმნა კომისია, რომელიც შეიმუშავებს გენდერული თანასწორობის სტრატეგიას. აღნიშნული კომისიის შექმნის გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 2014 წელს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში ჩატარებული გენდერული აუდიტის საფუძველზე. რომლის ფარგლებშიც შემუშავდა შესაბამისი რეკომენდაციები.

3. ქალთა მხადამჭერი პროგრამები

გენდრული თანასწორობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია ქალთა ეკონომიკური გაძლიერება, რასაც სერიოზული მხარდაჭერა სჭირდება, განსაკუთრებით, სახელმწიფოს მხრიდან. სწორედ ამ მიზნით გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებულ დოკუმენტებში აღნიშნულ საკითხს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, მათ შორის, „საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2014–2016 წლების სამოქმედო გეგმაშიც“.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად ახორციელებს სახელმწიფო პროგრამას „აწარმოე საქართველოში“. „აწარმოე საქართველოში“ არის სისტემური რეფორმატორული პროგრამა, რომლის ძირითადი მიზნებია: საქართველოში მეწარმეობის ხელშეწყობა; ადგილობრივი წარმოების სტიმულირება - განსაკუთრებით ეკონომიკურად ნაკლებად განვითარებულ რეგიონებში; ახალი საწარმოების ამუშავება; ახალი სამუშაო ადგილების შექმნა; საექსპორტო პოტენციალის გაზრდა. პროგრამა მოიცავს 3 კომპონენტს: ფინანსებზე ხელმისაწვდომობა;

ინფრასტრუქტურაზე (უძრავი ქონება) ხელმისაწვდომობა; საკონსულტაციო მომსახურება. მართალია აღნიშნული პროგრამა უშუალოდ გენდერული პრობლემების მოგვარებისათვის არ არის შექმნილი, მაგრამ ქალებისათვის ახალ შესაძლებლებლობებს ქმნის.

2015 წელს მეწარმეობის განვითარების სააგენტოს მიერ მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესისათვის გამოიყო 4 მლნ. ლარი. პროგრამის ბენეფიციართა 30% მეწარმე ქალები წარმოადგენენ, ხოლო 2016 წლისათვის იგეგმება მათი რაოდენობის გაზრდა *(გეგმა:3.3).*

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, კერძოდ სასოფლო სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტომ დაიწყო მუშაობა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში ქალთა როლის გაძლიერებაზე *(გეგმა: 3.5.).*

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შექმნა/განვითარება ხელს უწყობს ეკონომიკის ზრდას, სოფლის მოსახლეობის დასაქმებას და შესაბამისად, მათი სოფლიდან მიგრაციის შეჩერებას. ცნობილია, რომ საქართველოში ქალთა რაოდენობა საკმაოდ მაღალია მიგრაციის პროცესში. ქალთა შრომითი მიგრაცია საზღვარგარეთის ქვეყნებში, მიუხედავად დადებითი მატერიალური შედეგებისა ოჯახებისათვის, საბოლოო ჯამში, უარყოფითად აისახება ქალთა, ბავშვთა და ოჯახის მდგომარეობაზე – „ქალების მიგრაციას ქვეყნის გარეთ გამოკითხული ქალების უმრავლესობა უარყოფითად აფასებს, რადგან თვლის, რომ ეს არის ოჯახების ნგრევის, შინ დარჩენილი შვილების ფსიქოლოგიური/ემოციური პრობლემების, მიგრანტი ქალების დეპრესიის და მიგრანტი ქალების ოჯახის წევრების (განსაკუთრებით ქმრების) დემორალიზების საფუძველი“[7]. აქედან გამომდინარე, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება მსგავს პროექტებში ქალთა მონაწილეობის ზრდა.

[7] ქალების საჭიროებებისა და პრიორიტეტების კვლევა საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში“, სოციალური მეცნიერებათა ცენტრი/UN Women, 2013

სასოფლო სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით 44 ქალთა კოოპერატივი შეიქმნა.

ბოლო დროინდელი კვლევების მიხედვით [8] საქართველოში ერთ–ერთ მტკივნეულ საკითხს ადრეული ქორწინება წარმოადგენს. ადრეულ ასაკში ოჯახური ურთიერთობები საკმაოდ მძიმედ აისახება გოგონებზე, რომლებიც ხშირად სკოლასაც კი ვერ ამთავრებენ, შესაბამისად, ვერ ეუფლებიან პროფესიას, და ვერ ახერხებენ დასაქმებას.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 31 აგვისტოს #451 დადგენილებით დამტკიცდა ,,სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამა“. პროგრამის მიზანია შრომის ბაზრის მოთხოვნად პროფესიებში სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებით, სამუშაო ადგილებზე შემდგომი სტაჟირებით მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ამ გზით სამუშაოს მაძიებელთა დასაქმების ხელშეწყობა. პროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ 20 წლის ზემოთ შრომითი ქმედუნარიანი საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც სააგენტოში რეგისტრირებულნი არიან სამუშაოს მაძიებლებად და თანახმა არიან, გაიარონ პროფესიული მომზადება-გადამზადების მოკლევადიანი სასწავლო კურსი. პროგრამის ბენეფიციარს მოეთხოვება, დასრულებული ჰქონდეს ზოგადი განათლების საბაზო საფეხური. უნდა აღინიშნოს, რომ ეს შეზღუდვა არ ვრცელდება პირთა გარკვეულ წრეზე, მათ შორის, ქალებზე, რომლებმაც ადრეული ქორწინების გამო ვერ დამთავრეს ზოგადი საბაზო განათლების საფეხური.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ 2015 წლის ნოემბრიდან დაიწყო პროექტი „გენდერი და საკუთრება“,

[8] „საქართველო – ადრეული ქორწინება“, UNFPA,

რომელიც მიზნად ისახავს საკუთრების განაწილებისას გენდერული თანასწორობის პრინციპებისა და თანაბარი უფლებების შესახებ საზოგადოების ინფორმირებას. პროექტის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება მოქალაქეებისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების გაცნობა და საკუთრების თანაბარი უფლების შესახებ მათი ცნობიერების ამაღლებაა.

გენდერული უთანასწორობა განსაკუთრებით მწვავედ პატიმარ ქალთა მდგომარეობაზე აისახება, ხშირად ირღვევა მათი უფლებები, ან ისინი საერთოდ ვერ სარგებლობენ თანაბარი უფლებებით. გარკვეული პერიოდის განმავლობაში სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფ ქალებს, შესაბამისი ინფრასტრუქტურის არარსებობის გამო (ეს მიზეზი დასახელდა გამოკითვის დროს) [9], არ შეეძლოთ გრძელვადიანი პაემნით სარგებლობა. პატიმრობის ახალ კოდექსში (რომელიც ძალაში შევიდა 2014 წლის 10 მაისს) ნათქვმია, რომ „ხანგრძლივი პაემნის უფლების განხორციელების მიზნით სამინისტრომ არაუგვიანეს 2015 წლის 31 დეკემბრისა უზრუნველყოს საჭირო პირობების შექმნა და ხანგრძლივი პაემნის უფლების განხორციელება ქალთა დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში“ [10]. ამ ცვლილების შესაბამისად 2015 წელს დაიწყო სასჯელაღსრულების N 5 დაწესებულების ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, რომელიც პატიმრობის კოდექსის მიხედვით, ქალთა სპეციალურ დაწესებულებას წარმოადგენს. აღნიშნულ დაწესებულებაში აშენდა ოთხნომრიანი სასტუმრო, რომელიც განკუთვნილია გრძელვადიანი პაემნებისათვის. სასტუმრო ექსპლუატაციაში შევიდა 2016 წელს. გარდა ამისა, გარემონტდა დაწესებულების ძირითადი სარეჟიმო კორპუსის საკნები, სამედიცინო ნაწილი, ხოლო დედათა და ბავშვთა კორპუსისათვის ცალკე ინფრასტრუქტურა მოეწყო.

[9] „საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2014–2016 წლების სამოქმედო გეგმა“2014 წლის შესრულების ანგარიში.
[10] http://www.mcla.gov.ge/public/files/pdf/text_14182882142.pdf

2015 წელს ამავე დაწესებულებაში, ევროკავშირის პროექტის „პატიმარ, პრობაციონერ და ყოფილ მსჯავრდებულ ქალთა რეინტეგრაციის ხელშეწყობა კანონმორჩილი ცხოვრებისათვის“ ფარგლებში და არასამათვრობო ორგანიზაციის „ქალი და ბიზნესი“ ხელშეწყობით, გაიხსნა სამკერვალო საწარმო და სილამაზის სალონი. მსჯავრდებულ ქალებმა გაიარეს შესაბამის სასწავლო კურსი და მოახერხეს დასაქმება, რაც ძალიან მნიშვნელოვანია მათი ფსიქო–სოციალური რეაბილიტაციისათვის.

2015 წელს პატიმარი ქალებისათვის განხორციელდა სხვადასხვა ფსიქო–სოციალური რეაბილიტაციის პროგრამა.

საქართველოში ქალის ტრადიციული როლი ოჯახში საქმიანობას უკავშირდება. რესურსებზე ხელმისაწვდომობა, რაც ქალს ოჯახზე ზრუნვასა და საოჯახო საქმიანობას გაუმარტივებს გენდერული მეინსტრიმინგის მნიშვნელოვანი ნაწილია.

უნდა აღინიშნოს, რომ 2015 წლისათვის საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს მიერ გაზიფიცირებულია 220 დ.პ. (3.6.1), ელექტრიფიცირებულია 22 დ.პ. (3.6.1) და ექსპლუატაციაში შევიდა 8 ჰესი (3.6.2), რაც მნიშვნელოვნად ზრდის ოჯახებისათვის ენერგიის წყაროებისადმი ხელსმისაწვდომობას. შესაბამისად, ოჯახების ბუნებრივი აირითა და მუდმივი ელექტროენერგიით მომარაგება ქალს უქმნის უკეთეს პირობებს და მნიშვნელოვნად აუმჯობესებს მის მდგომარეობას.

გენდერული მიდგომა ასახულია საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს აქტივობებშიც. სამინისტროს მიერ 2015 წელს დაფინანსებულია მთელი რიგი პროექტებისა, რომელიც გენდერულ პრობლემატიკას ეძღვნება. მაგალითად, თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალი სახელწოდებით „ქალთა უფლებები, გენდერი“; ქალთა ნამუშევრების გამოფენების ორგანიზება, პროექტი „აზერბაიჯანული ხელით ნაქსოვი ხალიჩების ტრადიციის შენარჩუნება“ (პროექტში,

რომლის მიზანია ეთნიკურ უმცირესობათა ტრადიციების, ტექნოლოგიების შენარჩუნება-გავრცელება ძირითადად, ქალები მონაწილეობენ) და სხვა *(გეგმა: 2.6)*.

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის 2015-2019 წლების სტრატეგიული გეგმის[11] ერთი-ერთი პრიორიტეტია გენდერულად დაბალანსებული და თანაბარი გარემოს ხელშეწყობა, რაც გულისხმობს პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა მონაწილეობის წახალისებას. 2015 წლის დასაწყისში ცესკომ გამოსაცხადებელ საგრანტო კონკურსისთვის პრიორიტეტულ მიმართულებად გამოყო: ქალთა მონაწილეობის ხელშეწყობა საზოგადოებრივ - პოლიტიკურ (საარჩევნო) პროცესში, ხოლო სწავლების ცენტრმა უზრუნველყო საგრანტო კონკურსის ორგანიზება. აღნიშნული მიმართულებით საანგარიშო პერიოდში დააფინანსა 5 არასამთავრობო ორგანიზაცია. პროექტები საარჩევნო პროცესებში ქალთა ჩართულობის მოტივაციის ზრდისა და მათი პოლიტიკური, სამოქალაქო უფლებების რეალიზების ხელშეწყობის მიზნით, საგანმანათლებლო პროგრამების, საინფორმაციო კამპანიების, გადაცემებისა და სხვა ღონისძიებების განხორციელებას ითვალისწინებდა. სწავლების ცენტრის მიერ დაფინანსებული პროექტების ხანგრძლივობა შეადგენდა 6 თვეს და სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდნენ, როგორც მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები ქალები, ასევე სხვადასხვა ეთნიკური უმცირესობები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები. პროექტის განხორციელების გეოგრაფიული არეალი მოიცავდა თბილისს და საქართველოს რეგიონებს. დაფინანსებული პროექტების ჯამური ბიუჯეტმა 242 900 ლარი შეადგინა.

ასევე, მნიშვნელოვანია, რომ შუალედური არჩევნებისთვის საგრანტო კონკურსის პირობებით მოთხოვნილი იყო ყველა სახის საგანმანათლებლო პროექტში გენდერული თანასწორობის საკითხების გათვალისწინება და სხვა მოწყვლად ჯგუფებთან ერთად ქალთა ჩართულობის უზრუნველყოფა.

[11] http://www.cesko.ge/ge/saarchevno-administracia-2-ge/strategia-2012-2015-eng-132-en

4. საგანმანათლებლო ინიციატივები

ქვეყანაში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საზოგადოების ცოდნისა და ინფორმირებულობის დონეზე. შესაბამისად, „საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2014–2016 წლების სამოქმედო გეგმის“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია ცოდნის დონის ამაღლება გენდერული თანასწორობის საკითხებზე. უნდა აღინიშნოს, რომ ამ კუთხით აქტიურად მუშაობენ გეგმის განხორციელებაში ჩართული უწყებები. თავად უწყებების თანამშრომლებისათვის არასამთავრობო თუ საერთაშორისო ორგანიზაციების მხადაჭერით სისტემატურად იმართება ტრენინგები და სემინარები.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიისა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) ურთიერთთანამშრომლობით 2015 წელს შემუშავდა სატრენინგო მოდული თემაზე – „გენდერი, გენდერული თანასწორობა, გენდერული პოლიტიკა“. მოდულის მიზანია მომავალი პოლიციელების ცნობიერების დონის ამაღლება კანონის წინაშე თანასწორობისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპების შესახებ. მოდული, რომლის ხანგრძლივობაა 6 აკადემიური საათი, სრულად აისახა პატრულ-ინსპექტორთა და უბნის-ინსპექტორთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმებში. აღნიშნული ტრენინგი პირველ ეტაპზე გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და აკადემიის მიერ, ერთობლივად ჩაუტარდა ოთხ საპილოტე ჯგუფს. მათგან სამი ჯგუფი იყო პატრულ-ინსპექტორთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მსმენელი, სულ 90 კანდიდატი, ხოლო ერთი ჯგუფი უბნის-ინსპექტორთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მსმენელი, სულ 28 კანდიდატი. ამრიგად, საპილოტე ოთხი ტრენინგის ფარგლებში სასწავლო

მოდული გაიარა 118-მა მომავალმა პოლიციელმა[12]. ამჟამად აღნიშნულ სწავლებას აკადემია საკუთარი რესურსით ახორციელებს.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლა არის საგანმანათლებლო ორგანიზაცია, რომელიც უზრუნველყოფს სამოსამართლო კანდიდატების, მოსამართლეების, მოსამართლეთა თანაშემწეების და სასამართლოს სხვა თანამშრომლების პროფესიულ სწავლებას. სკოლის ფარგლებში სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამაა დანერგილი. ერთ-ერთი ასეთი პროგრამა არის მოსამართლეთა და სასამართლოს სხვა მოსამსახურეთა გადამზადების პროგრამა, რომლის ფარგლებშიც 2014 წელს შემუშავდა ახალი სასწავლო კურიკულუმი გენდერული თანასწორობის საკითხებზე. აღნიშნული კურიკულუმის ფარგლებში საპილოტე ტრენინგი ჩატარდა უცხოელი ექსპერტების დახმარებით, 2015 წელს ჩატარდა 4 ტრენინგი. სწავლება გაიარა 47–მა მოსამართლემ. იუსტიციის უმაღლესი სკოლა მომავალში, უკვე ადგილობრივი რესურსის გამოყენებით, გეგმავს მოქმედ მოსამართლეთა და სასამართლო სისტემის მოხელეთა სისტემატურ გადამზადებას გენდერული თანასწორობის საკითხებზე *(გეგმა:1.2.5).*

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა გამოსცა ბრძანება (N110/ნ, 31.08.2015) სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტის თაობაზე. აღნიშნული სტანდარტის დანერგვის ხელშეწყობისათვის მომზადდა აღმზრდელის სახელმძღვანელო „თამაში სწავლისა და განვითარებისათვის“, რომელშიც ასახულია გენდერული თანასწორობის საკითხები. გარდა ამისა, აღმზრდელებისათვის შემუშავდა სატრენინგო მოდული, რომელშიც ინტეგრირებულია გენდერული საკითხები.

2015 წელს ცესკოსთან არსებულმა სწავლების ცენტრმა, საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდთან (IFES) თანამშრომლობით, შეიმუშავა სასწავლო მოდული

[12] საპილოტე ტრენინგები ჩატარდა პატრულ-ინსპექტორთა ჯგუფებში 2015 წლის 2, 3 და 8 სექტემბერს, უბნის-ინსპექტორთა ჯგუფში 18 სექტემბერს.

„გენდერი და არჩევნები“. მოდულისათვის მომზადდა თეორიული და პრაქტიკული მასალა. სასწავლო ცენტრისა და ცესკო-ს წარმომადგენლებისათვის ჩატარდა ტრენერთა ტრენინგი, რომლის დროსაც განიხილეს აღნიშნული მოდულის საკითხები და შესაბამისი პრაქტიკული სავარჯიშოები. მოდული საბოლოოდ ინტეგრირებულ იქნა ცესკოს საპილოტე პროექტისათვის – „საარჩევნო განვითარების სკოლა 2015“ - შემუშავებულ სასწავლო კურსში. გარდა ამისა, 2015 წელსვე სპეციალურად ცესკოს წევრებისა და სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებისათვის საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) მხარდაჭერით ორგანიზებულ იქნა ტრენინგი გენდრული თანასწორობის საკითხებზე.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსთან ფუნქციონირებს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი, რომლის მიზანია საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სისტემაში მიმდინარე სამართლებრივი რეფორმის ხელშეწყობა; გარდა ამისა, სამინისტროს სისტემაში დასაქმებული საჯარო მოხელეების, პერსონალის ან დასაქმების სურვილის მქონე პირთა მომზადება, გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება. აღნიშნული ცენტრის სასწავლო პროგრამების ფარგლებში 2014 წლიდან დაიწყო პატიმარ ქალებთან მომუშავე სასჯელაღსრულების დაწესებულებების თანამშრომელთა მომზადება არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ გაეროს წესების - ე.წ. „ბანგკოკის წესების“ მიხედვით. „ბანგკოკის წესები“ გულისხმობს პატიმარი ქალებისადმი მოპყრობის სტანდარტებსა და თავისებურებებს. სასჯელაღსრულების დაწესებულებების თანამშრომელთა მომზადების მიზნით, შემუშავდა სატრენინგო მოდული, რომელიც შემდეგ საკითხებს მოიცავს: პატიმარ ქალთა სპეციალური საჭიროებები სასჯელის მოხდის პერიოდში; პატიმარი ქალების მომზადება გათავისუფლებისათვის; ეროვნული კანონმდებლობისა და საერთაშორისო სტანდარტების შედარებითი ანალიზი; ქალთა დაწესებულებაში არსებული პრობლემების ანალიზი და მათი გადაჭრის გზების განხილვა. 2015 წლის განმავლობაში აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ჩატარდა 2 ტრენინგი.

გადამზადება გაიარა 25-მა ახალმა თანამშრომელმა (მათ შორის N2 და N8 პენიტენციური დაწესებულებების თანამშრომლებმა, სადაც ასევე განთავსებულნი არიან მსჯავრდებული ქალები) (გეგმა: 8.6.4).

ტრენინგები და სემინარები სხვა უწყებებში:

გენდერული თანასწორობის ეფექტიანი პოლიტიკის შექმნისა და განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია, რომ ამ პროცესში ჩართული ყველა ადამიანი ფლობდეს ცოდნას გენდერული თანასწორობის საკითხებისა და მიდგომების შესახებ, კარგად ესმოდეს ამ საკითხების მნიშვნელობა და შეეძლოს გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებულ პროცესებში ეფექტიანი მონაწილეობა. სწორედ ამ მიზნით, 2015 წელს სხვადასხვა უწყებაში არაერთი ტრენინგი და სემინარი ჩატარდა:

- პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ინიციატივითა და ევროსაბჭოს მხადაჭერით ჩატარდა სემინარი „სტამბოლის კონვენცია - ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ“.

- პროექტის - „ჩემი უფლებების ფარგლებში“, რომელსაც გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA) ახორციელებს საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროსთან თანამშრომლობით, თბილისისა და კახეთის სკოლებში ჩატარდა ტრენინგები. ტრენინგები ეხებოდა ადამიანის უფლებების და გენდერული თანასწორობის პრინციპების, აივ-შიდსისა და სქესობრივად გადამდები დაავადებების საკითხებს.

- საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და ევროპის საბჭოს ერთობლივი ძალისხმევით ჩატარდა რეგიონული კონფერენცია „აღმოსავლეთ პარტნიორობის ხუთ ქვეყანაში ქალთა მიერ მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის გაძლიერების თაობაზე“.

- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო საჯარო სამართლის დეპარტამენტის წარმომადგენელმა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩაატარა საჯარო ლექცია ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე.

- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ გაცემული გრანტის ფარგლებში საქართველოს სხვადასხვა რეგიონში დაიწყო საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის თაობაზე, არსებულ და ხელმისაწვდომ სახელმწიფო მექანიზმებზე. საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაიბეჭდა 5000 საინფორმაციო ბროშურა (ქართულ, ინგლისურ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე).

- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა „სამოქალაქო განათლების“ მასწავლებელთათვის ჩაატარა ტრენინგი - „სამოაქალაქო განათლების სწავლება“, რომლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს გენდერული საკითხები წარმოადგენს.

უნდა აღინიშნოს, რომ საგანმანათლებლო კუთხით უწყებები და მათთან არსებული სასწავლო ცენტრები აქტიურად მუშაობენ. როგორც 2015, ასევე 2016 წელს მთელ რიგ უწყებებში შეიქმნა სატრენინგო მოდულები გენდერული თანასწორობის საკითხებზე და ჩატარდა ტრენინგები. ამ მიმართულებით გეგმის განხორციელებაში ჩართულ უწყებებს დიდ მხადაჭერას უწევენ საერთაშორისო და ადგილობრივი უწყებები.

5. ჩატარებული კვლევები

დემოკრატიის საფუძველი კონკრეტული ადამიანებისა თუ ადამიანთა ჯგუფების საჭიროებების, დამოკიდებულებების, ღირებულებების აღიარება და გათვალისწინებაა. კვლევა არსებული ვითარების შეფასების, საჭიროებების იდენტიფიცირებისა და პრობლემების აღწერის საშუალებას იძლევა, ამასთან, ადგენს პრობლემების შესაძლო გადაჭრის გზებს. ნებისმიერ სფეროში ეფექტიანი პოლიტიკის განხორციელებას მნიშნელოვანია, წინ უძღოდეს სიტუაციის შესწავლა და ანალიზი. სწორედ ამ მიზნიდან გამომდინარე, „საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2014–2016 წლების სამოქმედო გეგმაში“ გათვალისწინებულია კვლევების ჩატარება სხვადასხვა მიმართულებით.

ბავშვთა და მოსაწავლეთა ახალგაზრდობის სპორტის ეროვნული ფედერაციის მიერ 2015 წელს ჩატარადა კვლევა „გენდერული თანასწორობა სპორტსა და ფიზიკურ აქტივობაში“ . კვლევა ეფუძნება იუნესკოს 37C/5 კომპეტენციის სფეროებს და პროგრამულ პრიორიტეტებს. კვლევა ითვალისწინებს ერთ–ერთ პრიორიტეტს გენდერულ თანასწორობას, შესაბამისად, აქცენტი კეთდება გოგონების სპორტში მონაწილეობაზე. კვლევის მიზანია სკოლის მოსწავლე გოგონების სპორტსა და ფიზიკურ აქტივობაში ჩართულობის თავისებურებების შესწავლა, ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორების გათვალისწინებით, როგორიც არის სოციო–ეკონომიკური, ეთნიკური, ტრადიციული, ინფრასტრუქტურული, გარემო და სხვა; კვლევის საბოლოო მიზანს აღნიშნულ მონაცემებზე დაყრდნობით რეკომენდაციების შემუშავება წარმოადგენს გენდერული თანასწორობის ეფექტური სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების ხელშეწყობისათვის (გეგმა: 2.7.1).

2015 წელს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაკვეთით, საქართველოს შრომის ბაზრის მოთხოვნის კომპონენტის არსებული და მოსალოდნელი ტენდენციების გამოვლენის მიზნით, ორგანიზაცია „ბი–

სი–ჯი კვლევამ“ ჩაატარა სოციოლოგიური კვლევა [13] . კვლევის მიზანი იყო დაინტერესებული მხარეებისათვის შრომის ბაზარზე დამსაქმებელთა განწყობებისა და მოთხოვნების შესახებ დეტალური ინფორმაციის მოპოვება და ანალიზი. დაინტერესებულ მხარეებში იგულისხმება: სახელმწიფო უწყებები (შრომის, განათლების, ეკონომიკის, სოფლის, ახალგაზრდობის და სხვ. სამინისტროები), დამსაქმებლები, სამუშაოს მაძიებლები, სოციალური პარტნიორები, განათლების მიმწოდებლები, დასაქმების კერძო სააგენტოები, სხვადასხვა კვლევითი, დონორი და საერთაშორისო ორგანიზაციები. გარდა სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაციისა, კვლევაში ასახულია გენდერული სტატისტიკა, რომლის მიხედვით დაქირავებით დასაქმებული ქალების რაოდენობამ 2015 წლისათვის შეადგინა 448 689, რაც მთლიანი დასაქმებულების 49%-ია, ხოლო დაქირავებით დასაქმებული მამაკაცების რაოდენობამ - 459 349, რაც მთლიანი დასაქმებულების 51 %-ია (გეგმა: 3.1.1).

2015 წელს ევროკავშირის ტექნიკური დახმარების ფარგლებში განხორციელდა შრომის ბაზარზე და პროფესიული განათლების სექტორში გენდერული კუთხით არსებული უთანასწორობის ანალიზი (გეგმა:2.3.1). ანალიზმა აჩვენა, რომ ქალები ნაკლებად არიან წარმოდგენილი პროფესიული განათლების ტექნიკური მიმართულებების პროფესიულ პროგრამებზე, როგორიცაა მეცნიერება, ტექნოლოგია, საინჟინრო საქმე და მათემატიკა. თუმცა, ცალკე თუ არ გამოვყოფთ ტექნიკური მიმართულებების პროგრამებს, პროფესიული განათლების სისტემაში ქალთა ჩართულობის საკმაოდ კარგი მაჩვენებალია:

მიღების პერიოდი	მამრობითი	მდედრობითი
2013 წელი	58 %	42%
2014 წელი	58%	42%
2015 წელი	57%	43%

[13] შედეგები და რეკომენდაციები შეგიძლიათ იხილოთ: http://www.moh.gov.ge/files/01_GEO/Shroma/kvleva/33.pdf

2015 წელს რამდენიმე სახელმწიფო უწყებაში ჩატარდა გენდერული აუდიტი. ეს უწყებებია: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, თავდაცვის სამინისტრო და თბილისის მერია. გენდერული აუდიტი დაგეგმილია სხვა უწყებებშიც. აღსანიშნავია, რომ გენდერული აუდიტი გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) მხარდაჭერითა და მონაწილეობით ხორციელდება.

6. ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები

გენდერული თანასწორობის საკითხებზე მსჯელობა საქართველოში უკვე 20 წელია მიმდინარეობს. თუმცა, ეს დრო არ აღმოჩნდა საკმარისი იმისათვის, რომ საზოგადოებას კარგად გაეცნობიერებინა გენდერული თანასწორობის მნიშვნელობა. საზოგადოების ცნობიერების ამაღლება გენდერული თანასწორობის საკითხებზე გენდერული პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტია. ის თუ რა იცის საზოგადოებამ აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, თვლის თუ არა, რომ ქალები და კაცები თანაბრად უნდა მონაწილეობდნენ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში, მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საზოგადოებრივი ცნობიერების დონეზე. ამ მიმართულებით მასმედია დიდ როლს ასრულებს და შესაბამისად, ცნობიერების დონის ამაღლება მედია საშუალებების გამოყენებით გეგმის ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტია.

საზოგადოებრივი მაუწყებლი, როგორც უწყება, აქტიურად მონაწილეობს გეგმის განხორციელებაში. 2015 წელს საზოგადოებრივმა მაუწყებლმა სხვადასხვა ფორმატისა თუ საინფორმაციო გადაცემის საშუალებით გააშუქა გენდერული თანასწორობის საკითხები: „მოამბე“ მუდმივად აშუქებდა გენდერულ საკითხებს და მასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს [14] ; გადაცემებში „რეალური სივრცე“, „კომუნიკატორი“ და „სამოთხის ვაშლები“ რამდენჯერმე გაშუქდა გენდერული

[14] www.1tv.ge

თემატიკა; გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომზადებულია რგოლები და რადიო გადაცემები (გეგმა: 2.6., 4.3). შეიძლება ითქვას, რომ 2015 წელს გენდრული პრობლემატიკა ინტენსიურად შუქდებოდა საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ.

7. გენდერული სტატისტიკა

გენდერული სტატისტიკა გენდერული პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილია, რომელიც გულისხმობს სტატისტიკას ქალისა და კაცის მდგომარეობის შესახებ საზოგადოებრივი და ეკონომიკური საქმიანობის ყველა სფეროში.

2015 წელს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ განახლდა მონაცემთა ბაზები გენდერული სტატისტიკის შესახებ. დაიბეჭდა კრებული „ქალი და კაცი“ [15], რომელიც მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს გენდერული პრობლემების შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის დონის ამაღლებასა და გენდერული თანასწორობის სფეროში მიზანმიმართული სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებას. პუბლიკაციაში წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემები ასახავს გენდერული თანასწორობის 2014 წლის ძირითად ტენდენციებს საქართველოში.

ცესკომ 2015 წლის 31 ოქტომბრის შუალედური ადგილობრივი არჩევნებისათვის მოამზადა ამომრჩეველთა გენდერული სტატისტიკა და განათავსა ოფიციალურ ვებ–გვერდზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ყველა უწყება, რომელიც ჩართულია „საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2014–2016 წლების სამოქმედო გეგმის“ განხორციელბაში, აწარმოებს თანამშრომელთა გენდრულ სტატისტიკას და ყველა განხორცილებულ ღონისძიებაში აღრიცხავს მონაწილე ქ/კ-ის

[15] http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/health/Qali%20da%20kaci_2015.pdf

რაოდენობას. აღნიშნული ინფორმაცია განთავსებულია მათ ოფიციალურ ვებ-გვერდებზე.

IV. იდენტიფიცირებული პრობლემები და ზოგადი რეკომენდაციები

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ გენდერული თანასწორობის კუთხით ქვეყანაში მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადადგმული. სხვადასხვა სახელმწიფო უწყების მიერ სამოქმედო გეგმის ფარგლებში შესრულებულია გარკვეული პუნქტები, თუმცა განხორციელებული აქტივობები რეალური გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისათვის საკმარისი არ არის. სამოქმედო გეგმის მთელი რიგი მნიშვნელოვანი ღონისძიებებისა სხვადასხვა მიზეზის გამო შესრულებული არ არის.

1. პრობლემები

კვლევაში მონაწილე რესპონდენტთა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე მათ უწყებაში მიმდინარეობს სამოქმედო გეგმაში გაწერილი ღონისძიებების განხორცილება, თუმცა, მათი აზრით, მიმდინარე მუშაობას არა აქვს ინტენსიური და კოორდინერებული ხასიათი. ისინი თვლიან, რომ ქვეყანაში ეფექტიანი გენდერული თანსაწორობის პოლიტიკის განხორცილებისათვის არსებობს ხელისშემშლელი ფაქტორები, როგორიცაა:

- უწყებებში გენდერის საკითხებზე პასუხისმეგებელი პირის საშტატო ერთეულის არარსებობა.
- უწყებების თანამშრომელთა არასაკმარისი ინფორმირებულობა, როგორც ზოგადად გენდერული თანასწორობის საკითხების შესახებ, ისე მათ უწყებაში გენდერულ საკითხებთან დაკავშირებით მიმდინარე ღონისძიებების შესახებ.

- გენდერული თანასწორობის პოლიტიკის შემუშავებაში და განხორციელებაში ჩართული მხარეების ნაკლები მზაობა.
- გეგმაში გაწერილი ღონისძიებების განხორციელებისათვის არსაკმარისი ადამიანური და ფინანსური რესურსები.
- მონაწილე მხარეების არაკოორდინირებულობა.
- საზოგადოების მხრიდან საკითხის მნიშვნელობის არასათანადო აღქმა.

2. რეკომენდაციები

ქვეყანაში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა ყველა სფეროსა და ყველა დონეზე დამოკიდებულია ეფექტურ სახელმწიფო პოლიტიკაზე, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია „საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2014–2016 წლების სამოქმედო გეგმა“. გეგმის განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინება:

- უწყებებში გენდერული მრჩევლის თანამდებობის შექმნა, რომელიც კონკრეტულ უწყებაში გენდერული პოლიტიკის განხორცილებაზე იქნება პასუხისმგებელი.
- უწყებებს შორის და სხვა დაინტერესებულ პირებთან/ჯგუფებთან თანამშრომლობის გაძლიერიერება ინტენსიური შეხვედრების ორგანიზებით,
- უწყებების შიგნით გენდერულ საკითხებზე თანამშრომლობის ხელშეწყობა – უწყების თანამშრომელთა ინფორმირება და მათი ჩართვა გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელების პროცესში.
- მონაწილე უწყებების თანამშრომელთა ცოდნის დონის ამაღლებისათვის ინტენსიური ტრენინგების ჩატარება.

- გეგმის განხორცილების პროცესში მეტი ფინანსური და ადამიანური რესურსის მობილიზება.
- გეგმის განხორციელების მონიტორინგისათვის უფრო ეფექტიანი, უკეთ გაზომვადი ინდიკატორების შემუშავება.
- გენდერული თანასწორობის საკითხებთან დაკავშირებული გეგმების კოორდინირებული განხორციელება.